რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 20 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები — რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 15 — რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. — 15

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ზანგოლი კრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით — **12** მან., ერთი თვით — **2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

## დღევანდელი მდგომარეობა

მთელი კავკასია მოიცავს საშინელ კრიზისს, რომელიც შეიძლება აუცილებელი კატასტროფით გათავდეს. ნაციონალურ შუღლსა და განხეთქილებას უდიდესი არევდარევა შეაქვს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში. რომელიც უმისოთაც არ იყო მშრომელი ხალხის სასარგებლოთ შექმნილი, რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვებამ ვერ ჩაითრია თავის ფერხულში აქაური მშრომელი მასა, ის ამისთვის ჯერჯერობით მოუმზადებელი აღმოჩნდა და გაბატონებულ კლასებთან ერთათ თანამშრომლობას განაგრძობს. სწორეთ ეს გარემოება ქმნის იმ აუტანელ კრიზისს, რომელიც წელში სწყვეტავს რევოლიუციონურ მოძრაობას და დიდ ასპარეზს აძლევს ყოველგვარ პოლიტიკურ ავანტიურას.

გაბატონებული კლასები ნაციონალურათ ირაზმებიან და იქეთ მიათრევენ მშრომელ ხალხსაც. ისინი თანდათან პატივს ყრიან და საბოლოოთაც სპობენ კლასობრივ რევოლიუციონურ ორგანოებს და მათ ადგილას ამყარებენ მათი ძალა-უფლების გამომხატველ ნაციონალურ ორგანიზაციებს. ხდება გათიშვა და განცალკევება არა მარტო რუსეთის პროლეტარიატიდან, არამედ ადგილობრივ, ერთ უღელში შებმულ და ერთ ჰერქვეშ მყოფ სხვადასხვა ერის მშრომელი მასისა ერთმანეთ შორის. რუსეთის პროლეტარიატიდან ჩამოშორება ნიადაგს აძლევს და აძლიერებს ადგილობრივ კონტრ-რევოლიუციას ხოლო კავკასიის მშრომელი ხალხის ერთმანეთიდან დაშორება ამავე წესით ნიადაგს უმზადებს და ქმნის კაციჭამია ნაციონალიზმს და შოვინიზმს.

როდეს ამ გზით ერთ და იმავე დროს სწარმოებს მშრომელი ხალხის დასუსტება და დამონება. ის გაბატონებული კლასების სათამაშოთ არის გამხდარი და შეუგნებლათ აკეთებს თავის დამღუპველ საქმეს. გაბატონებული კლასი თავის პოზიციებს ამაგრებს, ის სწრაფათ ახდენს თავის თვითგამორკვევას, ხოლო მშრომელი ხალხი ვერ [illegible] ამას პროლეტარულ თვით გამორკვევას და კუდში მისდევს თავის კლასობრივ მტერს. ის მასთან ადგენს ნაციონალურ პოლკებს, მასთან იცავს „სამშობლოს", უპირდაპირდება სხვა ერების ნაციონალურ პოლკებს, იმიჯნება სხვისი სამშობლოდან. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით — უკანა რიგზე დგება, მის ადგილს იჭერს „სამშობლოს გაუმარჯოს" ყიჟინა.

კლასთა ბრძოლის ადგილს იჭერს ნაციონალური ბრძოლა, პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობის ნაცვლათ წინ დგება ერის ყველა ნაწილების სოლიდარობა, სამოქალაქო ომი, რომელსაც სიტყვით ასე უფრთხიან ყველა ნაციონალისტ შოვინისტები, აქ იღებს უსაზიზღროეს ფორმას, როდესაც ერთმანეთს მუსრავენ ერთნაირათ გაყვლეფილი და დაბრმავებული მოძმენი მხოლოთ იმიტომ, რომ თავის გაბატონებულ კლასების დასაცავათ ერთმანეთს წაგლიჯონ სამარი იარაღი, რომ შემდეგ კვლავ განაგრძონ ერთმანეთის უმიზნო ხოცვა და ჟლეტა. შოვინიზმი გამარჯვებას დღესასწაულობს. ის ერთმანეთს აკლავს სხვა და სხვა ერის მშრომელ მასას და მას ძვლებზე აგებს მტარვალთა ბატონობას.

მშრომელ ხალხს არ მოეპოვება საკმაო ძალა, რომ შედგეს და შეჰყვლოს ყველა ჯურის ნაციონალისტებს და სოციალ-შოვინისტებს და ულმობელათ დახიოს მათ მიერ დაგებული ჯოჯოხეთური ქსელები. მას დაუბნელეს კლასობრივი შეგნება და ნაციონალური ძალის პირებით გაუბრუეს გონება.

როდემდის გაგრძელდება ნაციონალიზმის ეს ალვირ წახსნილი [illegible]? ნუ თუ მშრომელი ხალხი, მანამდე არ გამოფხიზლდება, სანამ შამქორის ამბები ყოველ ქალაქში და სოფელში უსაზიზღრესი ფორმებით არ განმეორდება?

დროა შეიგნოს კავკასიის მშრომელმა კლასმა ის სამარცხვინო მდგომარეობა, რომელშიაც ის ჩააგდეს მისმა ხელმძღვანელებმა. დროა შეიგნოს მან, რომ ის უფსკრულის პირათ სდგას და აქედან გზა ხსნისა მხოლოდ ერთათ ერთია: ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა ყოველგვარ სოციალისტ შოვინისტებთან და ნაცვლათ ამისა რევოლიუციონური ფრონტის აღდგენა როგორც რუსეთის პროლეტარიატთან, ისე კავკასიის სხვადასხვა ერთა მშრომელ კლასთა შორის. რუსეთის პროლეტარიატთან გაერთიანებით ის კვლავ ეზიარება რევოლიუციას და კავშირს გასწყვეტს კონტრ-რევოლიუციასთან; კავკასიის სხვადასხვა ერთა მშრომელ კლასების გაერთიანებით ის კვლავ დაუბრუნდება ინტერნაციონალს და უკუაგდებს დამღუპველ ნაციონალიზმს.

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს!
გაუმარჯოს კავკასიის მშრომელ კლასთა ერთობას!

---

## მხედრის წერილი.

4.

1916 წელს 1 თებერვალს ოდესის ოლქიდან ქ. ეკატერინოსლავში ვიყავ დანიშნული 271 სათადარიგო პოლკში (მაშინ ბატალიონი) მე გამოვეცხადე პოლკის უფროსს, რომელმაც ერთ-ერთ როტაში ჩამრიცხა უნცროს აფიცრათ და თან მიბრძანა, რომ იმ დღესვე წავსულიყავ სამეცადინოთ. მე აუსრულე ბძანება. პოლკი ახალი დაარსებული იყო და ამიტომ პოლკის უფროსი ცდილობდა თავი არ შეერცხვინა და გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა. ერთ მშვენიერ დღეს ბძანება მომივიდა გენერალი მოვიდა პოლკის დასათვალიერებლათო და ამა და ამ საათზე უიქველათ მზათ იყავითო. მე წავიყვანე ჩემი როტა სამეცადინოთ. შეიქნა ერთი აური ზაური, გენერლის მოლოდინში უნტერ აფიცრები ერთი მეორეს ეპიტქებოდენ ეზვოდების მომზადებაში. ჩვენც უნცროსი აფიცრები ჩვენ ეზვოდთა განყოფილებებში, ვეხმარებოდით ეზვოდის უფროსებს, რომ როტა არ შერცხვენილიყო.

საათის სამი იქნებოდა, გენერალი რომ მოვიდა. ხალხი დილიდან გამოყვანილი, კაზარმებში არ წამიყვანია. როტის უფროსმა კამანდა მოგვცა. მთელი როტა როგორც ლარი გაიჭიმა. აფიცრები თავ-თავის ადგილას წავედით, გენერალმა სალამი მოგვცა და მერე შეუდგა როტის გამოცდას. ყველა ჯარისკაცი მამხნეათ და მკვირცხლათ ძლევდა პასუხს. როტა კარგი მომზადებული გამოდგა, გენერალმა რამოდენიმეჯერ შეაქო ჯარისკაცნი, პოლკის უფროს და დანარჩენ აფიცრებს კი მადლობა გვითხრა და ეს ეს იყო შინ უნდა წავსულიყავით, როცა გენერალმა შეაჩერა პირველი ვზვოდის მარცხენა ფრთაზე მდგომი ჯარისკაცი და შეეკითხა:

— როდის გათავდება ომი? სალდათმა პირი გააღო გაშტერდა და ხან მე და ხან გენერალს მისჩერებოდა, ხან ცას მიაპყრობდა თვალებს, ხან კი მიწაში ჩასცქეროდა, ვ თომც და მიწა-ცას უნდა მიეცეს ამის პასუხი. ასე მოიქცა რამოდენიმე ჯ. კ. დაბოლოს ერთმა სთქვა:

— ომი გათავდება მაშინ, როდესაც მისი ხელმწიფის უუმაღლესობა მოისურვებს, თქვენო მაღალო აღმატებულებავ!

გენერალმა გაიგონა ეს თუ არა კბილები დააკრაჭუნა. ის გახელდა, ჯ. კ. არაფერი იცისო.

მერე მრისხანეთ შემეკითხა:

— პრაპორშჩიკო, თქვენ არ აგიხსნიათ ეს ამ ხალხისთვის?

— სრულიათაც არა, თქვენო აღმატებულებავ!

მერე პოლკის უფროსი მოიხმო და უბძანა, ყურადღება მიექცია ამისთვის.

თუ—მე ნუ იტყვით, ჩვენს გენერალს სდომოდა, რომ ჯ. კ. პასუხათ ასე ეთქვათ: როდესაც მოვერევით მტერსო.

ამ დღის მერე თითქმის ყოველ დღე ყველა როტებში დაწოლის წინაც კი შეეკითხებოდენ ჯ. კ. ამ კითხვით, ჩვენს როტაში და მრავალ სხვა როტებში პლაკატები იყო გამოჩენილ ადგილებზე გამოკრული: სალდათმა უნდა იცოდეს, როგორც მამაო ჩვენო, როდის გათავდება ომი? როცა მოვერევით მტერს.

აი ამ სიტყვებს იმეორებდენ წამდაუწუმ, დილას, სალამოს, სადილ-ვახშამით ჩაის დროს, დასვენების დროს და სხვადასხვა.

ძალა უნებლიეთ ასწავლიდი ამისთანა სისულელეს და სირცხვილით გაწითლდებოდი, როდესაც უნტერ-აფიცერი უფრო დაახლოვებული გაგიბედავდა და შეგეკითხებოდა:

მაშინ როგორ იქნება, თუ რომ მტერი მოგვერია? ძალა უნებურათ გაგეცინე

ბოდა და კითხვას უპასუხოთ დასტოვებდი.

1916 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში ყოფილი მეფე რუსეთისა ნიკოლოზ II სამხედრო ასპარესზე იყო და რამოდენიმეთ შესცვალა რედაქცია იმ მუხლებისა, რომლის ძალითაც ჯ. კაც. ისჯებოდენ ჯარიდან გაქცევისათვის. პირობები გაასასტიკეს. ყველა ეს გამოწვეული იყო მისგან, რომ ჯ. კ. გაურბოდენ ომს, ომს ჩანთქმელს სიცოცხლით აღსავსე ხალხისას. როგორც კითხვას ომის გათავების შესახებ, აგრეთვე ყველა იმ ზომებს, რომელიც იქნებოდა მიღებული „დეზერტირების“ წინააღმდეგ ჩვენ ყოველ წუთში ვაყოლებდით ჯ. კ. და უმეორებდით, უკითხავდით ბძანებებს ომიდან გაქცეულთა დასჯა-დახჩობის შესახებ და უთითებდით, რომ მათაც ასეთი დღე მოელით თუ ქკვიანათ არ იქნებიან, მაგრამ განა ჩვენ დავაკავებდით მას, ვისაც თავის სიგძე სიგანით ეძაგებოდა ომი? ჩვენ დავიკავებდით მას, ვინც ვერავითარ სარგებლობას ვერ ხედავდა ომში? მართალია ასეთები ბევრი მოიპოებოდა ინტელიგენტთა შორის, მაგრამ რა ძალა გვქონდა ომის წინააღმდეგ წავსულიყავით; მასთან ერთათ ჩვენთვის ცხადზე უცხადესი იყო ყველა ის შედეგები, რაც შესაძლო იყო ჩვენს მოქმედებას მოყოლოდა. ამავე წელში სამხრეთ ასპარეზზე მიმავალმა ჯ. კაც. ახსნეს ეშალონი, გალახეს უფროსი, არ უნდოდათ ომში წასვლა, ვინაიდგან ესენი იყვნენ რამდენჯერმე ომში ნამყოფნი. ამ ინცინდენტის გამო სიკვდილით დასაჯეს 8 ჯ. კ. რამდენი ამისთანა მომხდარა რუსეთში, ვინ იცის. თითქმის ყოველ დღე იპარებოდა ყველა როტიდან 3—4 კაცი. ერთ ღამეს ჩემი როტიდან 20 კაცი გაიპარა. ზოგი მათთაგანი უკანვე ბრუნდებოდა, უმეტესი ნაწილი კი სამუდამოთ იკარგებოდა. გავმართავდი თუ არა მუსაიფს როტაში პირველი კითხვა ომის საკითხი იყო. ეს საკითხი უწვავდა ყველას გულს, ეს კითხვა ულონებდა გულს და ჩვენ კი ვეუბნებოდით—тогда когда побѣдимъ врага“.

პოლპორ. ბუაჩიძე

## სახალხო სასამართლო პეტროგრადში.

მშვენიერი დარბაზი, რომელიც საუცხოვო ხელოვნებით არის მორთული, წარმოადგენს სახალხო სასამართლოს.

აქ ჯგუფ-ჯგუფათ თავი მოუყრია ხალხს და გაცხარებით მსჯელობს წამოყენებულ საკითხზე, მიმდინარე მომენტზე, მომხდარ ამბებზე და სხვა.

ყური დაუგდეთ ამ უბრალო სიტყვებს თავისუფალ წიგნებიდან ამოღებულ ფრაზებს და გარედან მონაბერ გაბერილ „სიდარბაისლეს“ და აშკარათ დარწმუნდებით, თუ რა უდიდესი აღმზრდელობითი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონია დღევანდელ ჩვენს რევოლიუციას... ხმა უნდა ჩაიკმიდონ მათ ვინც გაიძახის, რომ რუსის ხალხისთვის საჭირო სასამართლოს დაარსება ნაადრევიაო!

აი შემოჰყავთ სასამართლოს დარბაზში წითელგვარდიელთ ბრალდებული და მალინვე პრეზიდიუმი (იგივე საგამომძიებლო კომისია) სასამართლოს სტოლთან თავსდება. ამ დროს დარბაზში სიწყნარე და სიჩუმე მყარდება და ხალხიც მოსამართლეების სტოლს უახლოვდება. სახლში, რომელიც სერიოზულათ გამოიყურება, ერთიც არ ურევია ისეთი, რომ საქმით დაინტერესებული არ იყოს, ერთიც არა სჩანს, რომ რომელიმე კუთხიდან სასეიროთ გამოიცქირებოდეს... აქ თავი მოუყრია ბრბოს კი არა, ეს ჩვეულებრივი „პუბლიკა“ კი არ არის, არამედ მსაჯულათ მოსული ხალხი, რომელიც თავის დანიშნულებას მეტათ სერიოზულათ უყურებს. თვითეული მათგანი ნამდვილ ულმობელ მსაჯულს წარმოადგენს.

მართალია, როგორც პრეზიდიუმს, ისე მსაჯულთ თითქო გამოუცდელობა ეტყობათ, მარა ისინი მეტათ დინჯათ და დარბაისლურათ ჩაკვირვებიან თავის სერიოზულ დანიშნულებას და გასარჩევ „საქმეს“.

საბრალმდებლო სიტყვას იწყებს წითელ გვარდიელი, რომელიც მკაფიოთ და მოკლეთ ახასიათებს დანაშაულობას და მსმენელნი ახლათ ხედვენ, თუ რაშია საქმე, თუ როგორ უშლის ხელს თავისი მოქმედებით დამნაშავე ხალხის შემოქმედებას, რომ მოაწყოს ახალი ცხოვრება და შექმნას ახალი წყობილება. მსმენელთა მხრიდან ისმის ბრალმდებლისადმი თანაგრძნობის ნიშნები და მისი სიტყვის მოწონების გამომხატველი ხმები.

დხება ბრალმდებლის დამცველი მუშა. ის ცდილობს დანაშაულობის შემამსუბუქებელი გარემოებანი გამოძებნოს, გამოსთქვამს ბრალდებულის სასჯელის შემამცირებელ საბუთებს. ხალხი ყველაფერს ამას სერიოზულათ ისმენს და ყველასათვის აშკარა ხდება სახალხო სამსჯავროს დიდი მნიშვნელობა,

ერთი თვალის გადავლებით რწმუნდებით, რომ ეს არის მართლაც სახალხო მოწყალე და ნამდვილი სასამართლო, აქ იჭრება სწორი „სამართალი“.

პრეზიდიუმის სტოლთან სხედან რაიონული საბჭოს წევრნი, ლითონის წარმოების მუშათა და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები. თავმჯდომარეობს მექანიკი კულიკოვი. წითელ გვარდიელებს შემოყავთ კიდევ ტუსაღები. ყველა ამათ ერთი საქმისთვის ასამართლებენ. საქმე შემდეგშია:

ერთ-ერთი ძმის სახელწოდების დღესასწაული აქვთ გამართული ძმებს კომნევებს, რომელთა ბინაზე იმართება ქეიფი; და გადაკრული ძმებს თავიანთი სტუმრებითურთ ჩხუბი მოსდით; მალე ისინი აყალ—მაყალით და ჩხუბით ქუჩაზედაც გამოდიან, სადაც ბრაუნინგის რევოლვერების სროლას იწყებენ. დაშავებით თუმცა არავინ დაშავებულა, მაგრამ დატყვევების დროს მათ შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც წითელგვარდიელთ ისე გამომძიებელ კომისიასაც.

ტუსაღების რიგიდან გამოდის ბრალდებულ კომნევებიდან ერთი მათგანი—ეგორ კომნევი და დგება ხალხის წინაშე.

თავმჯდომარე ხალხს აცნობს მოწმეების ჩვენებას, საიდანაც სჩანს, რომ ბრალდებულს 16 წლამდე უმუშავნია სხვა და სხვა ქარხნებში, შემდეგ კი ვაჭრობას შესდგომია: ვაჭრობდა ხორცს, სპირტს, ხანდიხან ქურდობდა კიდეც, ბრალდებული თავს დამნაშავეთ არა სცნობს.

თავმჯდომარის წინადადებისამებრ მოსამართლეები დამნაშავეს აძლევენ კითხვებს: „საიდან შეიძინა მან 4,000 მან. ფული, რომელიც მას უპოვეს ან რითი ხსნის იგი მოწმეების ჩვენებას: გადამტერებულნი ხომ არ არიან ისინი მასზე.“

ყველა ამ კითხვებზე ბრალდებული ან სულ არას ამბობს ანდა იძლევა მეტად გაურკვეველ პასუხებს.

თავმჯდომარე დამსწრე მოქალაქეთაგან რომელიმეს, რომელიც სასამართლოსაგან ჩირქ მოცხებული არაა, იკისროს ბრალდებულების დამცველობა და სხვამ კიდევ მათი ბრალდება.

ბრალდებლათ გამოდის მუშა დემიდოვი.

ჩვენ, ამ საათში ან უნდა გავამტყუნოთ, ან უნდა გავამართლოთ ადამიანი, ამბობს ის. ჩვენ საქმის გარემოებანი ყოველ მხრივ უნდა განვიხილოთ და ისე დავსდოთ მსჯავრი, მსჯავრი ხალხური და სამართლიანი. ჩვენ რევოლიუციონურ ხანაში ვცხოვრობთ, როცა ურიცხვი მტერი გარს გვარტყია. მტრები ყოველ ჩვენს ნაბიჯს ზომავენ, და როცა კი რომელიმე ჩვენგანს რაიმე შეცდომას შენიშნავენ, ამით მთელ ჩვენს ხალხს გმობენ და კიცხავენ. ამაზე ჩვენ მათ იმით უნდა უპასუხოთ და დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ვიცით, თუ როგორი პატიოსნებით უნდა ვატაროთ სახელი თავისუფალი მოქალაქისა და სრული საბუთი გვაქვს, რომ მტრის ბრალდებას ვუწოდოთ სიცრუე.

და აი ისეთი წევრი, როგორიც არის კომნევი, ხელს გვიშლის და მტრობას გვიწევს ამ საქმეში. დიდებულ დღეებში იგი ლოთობას და ქეიფს ეწევა, გამოდის ქუჩაზე და ჩხუბს და აურ-ზაურს მართავს. ემ ეკონომიური არევ-დარევის დროს იგი სარგებლობს და ხორცს ნება დაურთველათ აწეულ ფასებში ჰყიდის, თუმცა მ-ნ არ აღიარა, მარა მოწმეების ჩვენებიდან და მისივე ძმის თქმით იგი ჰყიდის სპირტს და პოლიტურას, რაც ადამიანის საწამლავია. ამ დანაშაულობისთვის მას თვით მპყრობელობის დროსაც დასჯიდენ და დროებითი მთავრობის დროსაც. მაგრამ მის დანაშაულობას ახლა ახალი ბრალდებაც ემატება: ის, რომ თავის უმსგავსო მოქმედებით ხელს უშლის ახალი ცხოვრების მოწყობას. მე ვთხოვ სახალხო სამსჯავროს, სცნოს იგი დამნაშავეთ. მან უნდა გაიგოს, რომ ხალხმა ის გაასამართლა მის მიერ ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულობისათვის, რომ ხალხი სამართლიანათ არის აღშფოთებული მის საქციელზე; ამიტომ ის აუცილებლათ უნდა დაისაჯოს, რის შემდეგ შეიძლება გასწორდეს.

დამცველათ გამოდის თვითონ თავმჯდომარე კულიკოვი.

„მე სრულიათ ვერ გავამტყუნებ მას, ამბობს დამცველი; არაა დამტკიცებული, რომ ის ხორცს ნება დაურთველ ფასებში ყიდდა. ერთი მოწმის თქმით არ შეიძლება დამტკიცდეს, რომ იგი სპირტეულობას ვაჭრობდა და რაც შეეხება იმას, რომ ამ საქმეს აწარმოებდა მისი ძმა, უნდა ითქვას, რომ მისი ძმის დანაშაულობისთვის მას პასუხს ვერ მოვთხოვთ.

ძმამ გამართა დღეობა, ისიც მივიდა, და სხვა სტუმრებთან ერთათ ისიც სმას შეექცა. მთელი ბრალდება წყალზეა დამყარებული და მხოლოთ ეჭვებით არის დასაბუთებული—და მოგეხსენებათ ეჭვები უფრო ბრალდებულის სასარგებლოთ ლაპარაობს. უმჯობესია დამნაშავე გაამართლო, ვიდრე მართალი გაამტყუვნო. აქ არც მიტინგია და არც ცირკი! გახსოვდეთ, რომ თქვენ ასამართლებთ ადამიანს.“

ბრალდებულს ამტყუნებენ წითელგვარდიელები—პეტროვი და სერგეევი—რომლებმაც დამნაშავე დაატუსაღეს.

პეტროვის შემდეგ ლაპარაკობს წითელ, გვარდიელი მუშა სერგეევი.

„მე თუმცა სასჯელის მომხრე არა ვარ, მე თვითონ რამდენჯერმე დამსაჯეს პოლიტიკური საქმეებისათვის; მაგრამ მე მაინც უნდა მივუთითოთ ამ ბრალდებულზე და მის მსგავსებზე და გითხრათ შემდეგი: აი ვინ არიან და სად არიან რევოლიუციის წვრილ ფეხა მტრები. ასეთებია, რომ სპეკულიაციას ეწევიან და ბევრს საწამლავით გონებას უბნელებენ. ესენი იყვნენ, რომ ტყვილა უპრალოთ შეურაცხყვეს წითელიგვარდია და ცილი დასწამეს რევოლიუციის ბურჯს—წითელგვარდიას და მის წინააღმდეგ იწევდნენ. მე მოხარული ვარ, რომ მოწმეების ჩვენებით ყველაფერი გამოირკვა და გვარდია გამართლებული დარჩა, მაგრამ ამით დანაშაულობა არ შემცირებულა. გამტყუვნება ბრალდებულისა, აი სწორი პასუხი დაყენებულ კითხვაზე.

ხმის მიცემით სახალხო სამსჯავრო ბრალდებულს ერთხმათ სცნობს დამნაშავეთ გვარდიის და კამისარის შეურაცხყოფაში, ხოლო 37 ხმით 42 წინააღმდეგ სპირტის ვაჭრობაში და ლოთობაშიაც. დამსწრე მოქალაქეთაგან წარმოდგენილ წინადადებების და სასჯელთა პროექტების თანახმათ ხმის უმეტესობით სახალხო სამსჯავრომ დამნაშავეს მიუსაჯა ორი თვის სავალდებულო მუშაობა და იმ ფულის ნახევრის კონფისკაცია, რომელიც მას უპოვეს. ამ დროს მახლობელ ჯგუფიდან, თითქო მსაჯული ხალხის საერთო სულისკვეთებას გამოთქვამსო, გაისმის მოხუცის შემდეგი სიტყვები

„ეს კარგია! აი ახლა გაიგონ, რომ ჩვენ ამისთანა სალახანებს დაუსჯელათ არ ვტოვებთ. დეე ყველამ ისმინოს!“

ამის შემდეგ სასამართლო შეუდგა მორიგი საქმის განხილვას.

(„ხ. პ.“)

## სიმართლე განჯაში მომხდარ ამბებზე.

განჯიდან ჩვენ მიერ მიღებულ წერილიდან ყველაფერი ნათლათ სჩანს, თუ ვინ ან რა იყო მიზეზი იმ უბედურებისა, რომელიც წარსულ კვირაში იქ მოხდა.

აი რას გვატყობინებენ ჩვენ:

„აქ საზარელი დანაშაულობა ხდება ამჟამათ ამიერ-კავკასიის კომისარიატის თუ პირდაპირი ინიციატივით არა, ხელის შეწყობით და მონაწილეობით მაინც. 7 იანვრის თარიღით აქ ჟორდანიას მიერ ხელმოწერილი დეპეშა მიიღეს, რომელიც ვითომდა „საბჭოს“ სახელზე იყო გამოგზავნილი, ნამდვილათ კი აქაური მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტის ერთი გამოჩენილი წევრის გადმოცემით დეპეშა მოვიდა ნაციონალურ კომიტეტების და „საბჭოების“ სახელზე და იქ ცხადათ იყო ნათქვამი, რომ იარაღი აეყარათ გამვლელი ჯარის ეშელონებისათვის, რომ ამით საშუალება მიეცათ ნაციონალური პოლკების შეიარაღებისა. დეპეშას ტელეფონით მოლაპარაკებაც მოჰყვა ამიერ-კავკასიის კომისარიატის მხრივ, რომელიც იტყობინებოდა, რომ ასეთი დადგენილება გამოიტანა ცენტრმა და რომ დეპეშა ჟორდანიას ხელმოწერილი არაა.

7 იანვარს საღამოს განჯის მუსულმანთა ნაციონალურმა კომიტეტმა დაადგინა: რათაც უნდა დასჯდომოდათ შამქორში შეყენებულ ეშელონებისათვის იარაღი აეყარათ; მან ოფიციალურათ წინადადება მისცა სომხის ნაციონალურ კომიტეტსაც, რომ მასაც მიეღო მონაწილეობა ამ საქმეში მხოლოთ იმ პირობით, რომ ართმეული იარაღი თათართა კორპუსს გადაცემოდა.

8 იანვარს ამ დადგენილების თანახმათ მთელი დღის განმავლობაში სად. შამქორში შეიარაღებულ რაზმებს გზავნიდენ და მათთან ერთათ დელეგაციაც

აენს, რომელსაც ეშელონებისათვის წინადადება უნდა მიეცა, რომ უბრძოლველათ დანებებოდენ და იარაღი დაეყარათ.

8 იანვარს საღამოს გენერალ მდივანის და კომისარ გობეჩიას მიერ ხელმოწერილი დეპეშა მოვიდა, რომლითაც იტყობინებოდ.: რადგან თურქები „უთუოთ" მომავალ გაზაფხულზე შემოესევიან კავკასიას, ,,სამშობლოს'' და რევოლაუციის დასახსნელათ საჭიროა იარაღი კავკასიაში დარჩესო". მაგრამ ამბობდენ დეპეშით იარაღს კი არ მოვითხოვთ, არამედ წინადადებას, ვაძლევთ, რომ ეშელონებმა იგი ჩაგვაბარონ: და თუ ამაზე ისინი არ დაგვეთანხმდებიან, იმ შემთხვევაში უნდა დაუბრკოლებლივ უნდა გატარებულ იქნანო. ვუბრძანებთ მხოლოთ, ამბობდა დეპეშა, რომ ეშელონებმა ჯაშენიან მატარებელს იარაღი არ აყარონ და თბილისამდე უვნებლათ გამოუშვანო.

დეპეშა იყო გამოგზავნილი „დიკაია", დივიზიის უფროსის მაღალოვის და ჯავშნიან მატარებლის ხელმძღვანელის, აფხაზავას სახელზე, და სწორეთ ესენი გახდნენ მთავარი მიზეზნი მთელი იმ უბედურებისა, რომელიც 9 იანვარს დატრიალდა შამქორში. გენერალ მდივანის დეპეშის მიუხედავათ მათ თათართა კომიტეტთან ერთათ გადაწყვიტეს, რაც უნდა გახდომოდათ, იარაღი აერთმიათ ეშელონებისათვის. ისინი წაუძღვენ რამდენიმე ათასი შეიარაღებული კაცისგან შემდგარ ურდოებს და რკინის გზის ლიანდაგის ორივე მხარეზე ეშელონებს ჩაესაფრენ; ამავე დროს ისინი ცდილობდენ ცენტრის და ზემოხსენებული მდივნის დეპეშებით ეშელონების ყურადღება და სიფხიზლე მოედუნებიათ. ასე მოეწყვენ ისინი და,.. ამ დროს მოულოდნელათ ეშელონებისთვის გავარდა მოღალატური „ზალპი" ატეხეს საშინელი სროლა, რამაც წამსვე ათასამდე სალდათი იმსხვერპლა; სალდათებიც გამოერკვენ და მოინდომეს წინააღმდეგობის გაწევა, გამოისროლეს რამდენჯერმე ზარბაზანიც, რითაც ჯაშენიანი მატარებელი დაიმსხვრა, მაგრამ ვერა გააწყვეს რა და ბოლოს იძულებული გახდენ იარაღი თათრებისთვის ჩაებარებიათ. ამის შემდეგაც არ შედგენ გამარჯვებულნი და შეუდგენ სალდათების ძარცვას და ხოცვას; ქალებს აუპატიურებდენ და ასახიჩრებდენ.

სამგზავრო მატარებელიც კი, რომლითაც ეშელონებს ბარგი და მიჰქონდათ და შიგ ქალებიც ბლომათ მიემგზავრებოდენ, არ დაინდვეს: შეცვივდენ და გაძარცვეს, ქალები გააუპატიურეს: და ბოლოს მატარებელს ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს. ერთ ეშელონს კი, რომელიც პირველ რიგში იყო ჩაყენებული და რომელშიაც უკრაინელები იდგენ, ხელიც არ ახლეს და იარაღით გაისტუმრეს; ხოლო 5 ეშელონი ყველა იარაღ-აყრილი და გაძარცვული იქმნა; დანარჩენი 8 ეშელონი, რომლებიც ამათ შემდეგ მოვიდეს, როგორც ამბობდენ, 9 იანვარს მომხდარ ამბის შემდეგ ისევ თბილისისაკენ დაბრუნდენ. მეორე დღეს გავიგეთ, რომ შამქორში ხელახალი შეტაკება დაიწყო; 12-ს დილით ჩვენ გვითხრეს, რომ ეს ეშელონები ბრძოლით მოვიდენ ელისავეტპოლის სადგურამდე მათი იარაღის აყრა ვერ შესძლესო; ამბობდენ აგრეთვე, რომ ამ ეშელონებმა თათრებს აქ მხოლოთ 6 ზარბაზანი დაუტოვესო, თათრები დღეს გამარჯვებას დღესასწაულობენ: ვაგზალი მათ ხელშია, სომხები თავზარ დაცემული არიან; სომხები იარაღის აყრაში მონაწილეობას არ იღებდენ და თავს განზე იჭერდენ. 10 იანვარს 70 მდე სომეხი სალდათი მოვიდა რომელთაც უძღოდენ გუბერნიის კომისარის თანაშემწე არშ. მალხაზოვი და დოქტორი მელკონიანი, თან ახლდათ აგრეთვე თათრის მილიციონერები; ამ რაზმს თათართა ნაც. კომიტეტის ნებართვით უნდა გაევლო ქალაქი თათართა უბანი. როცა ეს რაზმი ამ უბანში შევიდა, მას თავს დაესხენ მუსულმანები და 13 კაცი მოკლეს. შემდეგ თვალებ დათხრილი გვამები სომხებს გადაუყარეს. ბევრიც უკვალოდ დაიკარგა, მალხაზოვმა და მელკონიანმა გაქცევით ძლივს იხსნეს თავი. სომხების მდგომარეობა საშინელზე საშინელია, ყოველ წუთას მოელიან თავდასხმას და ამოჟლეტას.

თათრის ურდოებს წინამძღოლობენ ხანები და ბეგები, ამ რამდენიმე ხნის წინათ ყაზახის და განჯის მაზრებში აგრარული მოძრაობა იყო დაწყებული. ამ მაზრების მემამულეების ორი ოჯახი ზიულგადაროვები სულ ერთიანათ ამოწყვიტეს. შამქორის ბეგებმა გაქცევით თავს უშველეს და აი ამ ჟამათ აგრარულ მოძრაობის მოსასპობათ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს თათარ-სომეხთა ჟლეტა ხოცვის გზაზე ხალხის დაყენება. სწორეთ ასედაც მოქმედებენ აქაური ბეგები, რომლებიც თითართა ნაციონალურ კომიტეტში შედიან; მათ ეხმარებოდენ და ხელს უწყობდენ და დღესაც ეხმარებიან ამიერ-კავკასიის კომისარიატში მყოფი მათი წარმომადგენლები და მათთან ერთათ ამ კომისარიტის დამქაშები—მაღალოვები და აფხაზავები.

გუშინ (12 იანვარს) თფილისიდან მოფრინდენ მფრინავები და ჩამოვიდენ ამიერკავკასიის ცენტრის დელეგატები; მათ მოიტანეს ბრძანება მაღალოვის სახელზე. რომ აწი აღარ აყაროს იარაღი ეშელონებს და სხვა. როგორც ეტყობა ახლა კომისარიატს უნდა ხელი დაიბანოს და თავი იმართლოს, მარა გვიანღა არის; თავის გამართლება ყოვლათ შეუძლებელია. გენერალ მდივანის ორჭოფული დეპეშებიც ვერავის გაამართლებს. ასეთსულ მდაბალ მოღალატურ მოპყრობას კავკასიის ჯარისადმი არ მოველოდით. ვინც კი ნახა ეს სურათი ეშელონების იარაღის ართმევა, სალდ. ხოცვა-ჟლეტა და მათი ცოლების გაუპატიურება, პირდაპირ თავზარდამცემ ამბებს მოგვითხრობენ. ყველა ის სომხებიც, რომლებიც დღეს კომისარიატში სხედან დამნაშავე არიან, როგორც გამვლელ რუსის ჯარის ეშელონების მიმართ, ისე სომხის ხალხთანაც. და აქაური მაღალი წრეები თუმცა იარაღის აყრის წინააღმდეგი არიან, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იარაღი მათ არ უვარდებათ ხელთ, არამედ მათ მტრებს. ზოგი მათგანი ამას პირდაპირ აშკარავენებს და ამბობს: ჩვენც ამასვე ჩავიდენდით, რომ ვიცოდეთ, იარაღი ჩვენ-ხელთ იქნებაო. სომხის მასაც ამ მხეცურ ამბების შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ იმყოფება და ისიც სხვებზე არა ნაკლებ მხეცურ ინსტიქტებს იჩენს. გუშინ მაგალითად „დიკაია" დივიზიის, რუსის ერთი აფიცერი მოკლეს სომეხთა უბანში, სადაც ამ აფიცერის გარდა ერთი მისი დამცველი სომეხიც მოკლეს და სამი კიდევ სომხებივე დასჭრეს."

---

## უკანასკნელი ცნობები.

### კალედინის დატუსაღება.

როსტოვიდან ატყობინებენ სომხ. ნაციონალურ საბჭოს, რომ დონის რაიონში აჯანყებაა, ბალშ[illegible]მა გაიმარჯვეს, დაატუსაღეს კალედინი და „ვოისკოვოი კრუგის" 24 წევრი. პეტროგრადიდან ცნობები არაა.

### ბალშევიკების ბრძოლა დონის წინააღმდეგ.

დონზე ბრძოლაა. კალედინ-კარნილოვის გაერთიანებულმა მთავრობამ ყველა ფრონტებზე (დონის ოლქი) დაგზავნა დელეგაციები ბალშევიკებთან დროებით ზავის ჩამოსაგდებათ 4 თებერვლამდე თერგის ოლქში ბრძოლაა კაზაკებსა და „ტუზემცებს" შორის.

გეორგიევსკი და ზოგიერთი სხვა პუნქტები, აგრეთვე გროზნი ბალშევიკების ხელშია.

### ბალშევიკების გამარჯვება.

**როსტოვი.** (პირდ. მავთულით): პროხლადნაიაში, გეორგიევსკში და არმავირში ძალა-უფლება ბალშევიკების ხელშია. გამვლელ აფიცრებს პაგონებს აგლეჯენ, ეძებენ იარაღს.

**ბაქო.** ბალშევიკები ანხორციელებენ ბანკების ნაციონალიზაციას.

---

## მ. გორკი და რევოლიუცია.

ერთხელ მ. გორკი სახელოვანი მებრძოლი იყო. ის იბრძოდა რევოლიუციისათვის, იბრძოდა სოციალიზმისათვის. მ. გორკის შემოქმედება, მთელი მისი ნიჭი, სული და გული მუშა-პროლეტარის მებრძოლის სულსა და გულში იყო ჩაქსოვილი. გორკი მშრომელთათვის განსახიერება, ემბლემა იყო იმ თავისუფლების, რომელსაც მაქსიმეს „ტანჯული მუშა" მოელოდა.

ზღვა სისხლი დაიღვარა ამ თავისუფლებისათვის. მუშისა და გლეხის ცრემლითა და ძვლებით აღუღდა და აივსო მთელი მიდამო! მან სისხლით გამოაწრთო და ძვლებით გამოკვეთა თვისი დიადი თავისუფლება. მაშინ გორკიც ხალხთან იყო.

დღეს კი მთელ მშრომელ მასსასთან ერთად ჩვენც ვგლოვობთ მას იმიტომ, რომ იგი შრომის განთავისუფლების დღეს რაღაც გაურკვეველ ბოროტებას შეუპყრია!.. ის აღარც მღერის. აღარც მხიარულობს. ერთხელ ის მუშასთან ერთად იზიარებდა ჭირსა და ლხინს. დღეს ის განზე გამდგარა სხვა მის ზოგიერთ ამხანაგებთან ერთად. გორკი საშინელ ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას, სახალხო მთავრობას, მის დეკრეტებს. „სახალხო კომისარების დეკრეტები წყალზე ჩანგლებით წერიაა... სულელურია სიბრიყვეაო" და სხ. თურმე „საპატიო ზავზე" დეკრეტი სისულელეა, წარმოების კანტროლი — სიბრიყვეა. მიწების გლეხებზე გადასვლა —გამოუსყიდველათ სიბოროტეა, ბანკირების ალაგმვა, მათგან ოქროების ჩამორთმევა და ხალხის სასარგებლოთ გამოყენება ყაჩაღობაა... გორკის აზრით მუშასა და გლეხს თურმე თავისუფლება რათ უნდა: ის მას ვერ მოიხმარს.

დღეს გორკი შეკრთა, შეშინდა... დაიბნა... და ყველაფერი ეს გორკის, იხე როგორც მის მზგავს მენშევიკ-ესერებს (მემარჯვენე) რევოლიუციის ძლევამოსილებისა და ქარტეხილის შიშით მოსდის...

რევოლიუციის დროს თვით საუკეთესო პოლიტიკოსებსაც კი გადაუბრუნდათ ჭკუა-გონება და მსოფლ-მხედველობა. ბევრმა დაგმო ის, რასაც მთელ თავის სიცოცხლეს სწირავდა. „ძროხამ იწველა იწველა". ასეა ერთ დროს სახელოვან „დედის" ავტორის, დღეს კი საბრალო გზა-კვალ დაბნეულ გორკის ბედი. მახლას!..

ბედი-მარქსისტი.

---

## „ერთობის" დღევანდელი პოზიცია.

ვინც მენშევიკ-ობორონცების „ერთობას" კითხულობს, ის შეამჩნევდა, რომ გაზეთის თითქმის მთელი „ტერიტორია" ბალშევიკების მიმართ დემაგოგიით და მრავალ უნამუსო ცილის წამებით არის გატენილი. ავანტიურისტები, ბლანკისტები, სინდიკალისტები, დეზორგანიზატორები, ანარქისტები, შავრაზმელები, რეაქციონერები და სხვა—აი რა სახელებით ამკობენ მენშევიკები იმ ბალშევიკებს, რომლებმაც აიღეს ხელში ძალაუფლება საბჭოების სახით, თავდადებულათ შეუდგენ ხალხის იარების განკარგულებას, იმ იარალების, რომლებიც მიყენებული აქვთ ხალხს თვით მენშევიკ-ესერებიდან და ძმათა მათთგან. მაგრამ ყველაზე სავალალო ის არის, რომ „ერთობა" სულაც არ სცდილობს ფაქტებით დაასაბუთოს თავის ბრალდებები. „ერთობამ" აღუთქვა ყველას, ვინც კი მოისურვებს ბალშევიკებისადმი „ქებადიდების" შესხმა, ასეთი შინაარსის წერილებს „ერთობა" ყველას დიდის კმაყოფილებით დაუბეჭდავს. მიუხედავათ იმისა—შინაარსი სულელურია, თუ ჭკვიანური.

სხვათა შორის, „ერთობის" პუბლიცისტები იმასაც კიჟჟაჟკივიან, რომ ბალშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, რუსეთი ვილგელმს მიყიდეთ და ასე წარმოიდგინეთ, მონარქიის აღდგენასაც ხელს უწყობთო და სხვა ათას ამგვარ ჭორებს ახვევენ თავზე ბალშევიკებს. განა „ერთობამ" არ იცის, რომ ზემოდ ჩამოთვლილ დემაგოგიის და ჭორების ღირსი არ არიან ბალშევიკები? იცის აგრეთვე, რომ ბალშევიკების „ჩაა" (როგორც მათ უწოდ.), ,,ბრძოლას'' რომ არ აქვს დრო და ადგილი ყველა ამ დემაგოგიებს გასცეს პასუხი. მაგრამ ყოველი შეგნებული მკითხველი მიხვდება, თუ რა სურთ მენშევიკებს ამით. ამიტომ მე იმედი მაქვს, რომ ბევრი შეგნებული მუშა, ჯარისკაცები, თუ გლეხი ჩამოაკლდება „ერთობის" ყალბ სოციალისტებს.

მაგრამ ახსოვდეს „ერთობას" და მის ამყოლ-დამყოლთ, რომ მენშევიკები ასე უსინიდისოთ ეპყრობიან იმ ბალშევიკებს რომლებსაც ისინი ამ ცოტა ხნის წინედ უხმატკბილდებოდნენ: „ამხ. ბალშევიკებო, მოდით შევერთდეთ—ძალა ერთობაშიაო".

ნუ თუ დაავიწყდათ ბ.ბ. მენშევიკებს ეს ყველაფერი?!

ეს მენშევიკების პოლიტიკური სილაჩრე და მორალური არარაობაა და მეტი არაფერი.

ლადო შემოქმედელი.

---

## გაუმარჯოს ბალშევიზმს!

თავად-აზნაურთა ხარისხს იმდენათ ჰქონდა უპირატესობა დათმობილი, იმდენათ მოეკალათნა ამ წოდებას ცხოვრების უმთავრეს ტახტრევანზე, რომ ზოგიერთი გლეხკაცისშვილიც-კი. უმაღლეს ანუ საშუალო სწავლა-განათლებას მიიღებდა თუ არა, მყისვე თავადაზნაურულ ყოყლოჩინობას დაიწყებდა და დიდკაცებში საპატიო ადგილის მოპოებას გულმოდგინეთ შეუდგებოდა.

მუშა გლეხს და ვაჭარს რომ სუფთად ჩაცმულ ადამიანისადმი კნეინა-კნიაზობით სახელწოდებით მოხსენება, როგორც გარდაუვალი კანონი, ეკერა. პირზე. ვაჭარი ამ სიტყვებით ხიბლავდა მუშტარს და თავს აწონებდა იაფ-ფასიან

ფართალ-ფურთალს ძვირფას დიბა-ატლასის ფასათ ასაღებდა უხვევდა თვალებს და სიმდიდრეს სიმდიდრეზე აგროვებდა.

ერთი სიტყვით, თავად-აზნაურთა წოდება უაღრესად ხრწნიდა, აფერხებდა კაცობრიობის წინმსვლელობას. ბავშვებს ძუძუს წოვასთან ერთად ასწავლიდნენ გლეხისადმი სიამპარტავნე-უკადრისობის და თავად-აზნაურთადმი გულზვიადობას.

მევრჯელ გამიგონია დედ-მამის სიტყვები შვილისადმი მიმართული: გლეხის ბიჭ-ბუჭ-გომბიოებთან ნუ თამაშობ-სირცხვილია, დაგვძრახავენ; შენ დიდკაცის შთამომავალი, ბატონისშვილი ხარ და ისინი ნაყმევი გლეხისშვილებიაო; ყოფა-ქცევით შენც გლეხი გახდები და პატივს დაეკარგავთო.

აი ასე, უკუღმართობით მიმდინარეობდა გლეხის ცხოვრება. სიყრმიდგან სიკვდილამდის ჩაბღაუჭებოდა დედამიწას, სოფლათ ნიადაგს ალბობდა, არჩენდა მუქთახორა მეფე-არისტოკრატ-თავად-აზნაურ-ბურჟუაზია-ვაჭარ-სამღვდელოებას, და თვითონ მას-კი მთელ სიცოცხლეში თავადების ბავშვების სიახლოვეს მცირე ხნით ყოფნის უფლებაც-კი არა ჰქონდა.

დიდება და ნეტარხსენება მებრძოლთა მკლავს: ძლევამოსილ დემოკრატიის წყალობით წოდებრიობას აეგო ანდერძი_ ხწორუფლებიანობის შარავანდედმა ჩააშუქა გლეხის ჩაშავბნელებულ, მოკლულ გულის უფსკრულში. იგი გასწორდება, გაიმართება წელში. სწავლაგანათლების კარი, დღემდის მისთვის დახშული, დაიმსხვრა, გაიღო და მრავალ უქმათ დამარხული ნიჭი იფეთქებს, მრავალი მეცნიერების მადრევანი აქა იქ იწყებს დენას და რომ ამბობდნენ: კაცად-კაცები უნდა წარმოიშვანო, უკვე წინამორბედმა სიომ მოგვისალმუნა.

მხოლოდ ამ დიად თავისუფლებას მთლიანი არსებითი ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც დღესვე უნდა მხარდამხარ მისდევდეს, რომ შემდეგ მის მოსაპოებლად ბრძოლის განმეორებითი. მოლოდინში აღარ შფოთავდეს გლეხი და უზრუნველ-მყოფელობის სამფლობელოში მოღლილ, მაშვრალ სულს და სხეულს აძლევდეს მოსვენებას.

გაუმარჯოს ბალშევიზმს და მის მიერ აფრიალებულ სოციალისტურ დროშას!

ანეტა კაპანაძისა

---

# მუშათა წერილები.

ვის უნდა ემსახურებოდეს სახალხო მილიცია.

მილიცია, როგორც მე მესმის, არის ხალხის ნების გამომხატველი, ხალხის ინტერესების დამცველი და ხალხის შვილი. მარა კითხვა იბადება: ხალხში, საერთოთ რომ ვთქვათ, შეიძლება ბევრი ხალხის მტერიც ერიოს, მაგალითათ: ხულიგანები, პროვოკატორები, თავადები, კაპიტალისტები. ერთი სიტყვით, ყველა ქვეყნის მუქთა მჭამელნი და ხალხის სისხლის მწოველნი, ხალხის მტერნი და ორგულნი, მაშასადამე, თუ ჩვენ ამ ზემოთ ჩამოთვლილ მყვლეფელებს გამოვაკლებთ, დარჩებიან ისინი ვინც შრომობს, წვალობს, წელზე ფეხენს იდგამს, რომ როგორმე თავი ირჩინოს და სხვას კი ოქროთი ზანდუკებს უვსებს, საჭმელ-სასმელს უხვათ აძლევს, თუმც კი ნებით არ აძლევს, მარა ძალითართმევენ, რომ ღიპი კიდევ უფრო გაისიონ. მუშას-კი შიმშილით კუჭი სტკივა, სიცივით ცახცახებს, უსახლოთ მხეცივით ან ძველს სარდაფში სცხოვრობს, ან ქალაქის განაპირა უბანში, რომ განცხრომის შვილებს ზიზღი არ მოგვარონ. თავიანთი დანახვით, ახლა კითხვა იბადება: მილიცია, რომელიც წარმოშვა მუშათა რევოლიუციამ, ვის უნდა იცავდეს: თავის მტერს თუ თავის მოყვარეს, თავის საარსებო წყაროსათვის საძირკველს, რომელზედაც აშენდა და არის გამაგრებული? პასუხი მარტივია: მილიცია უსათუოთ უნდა იყოს მშრომელ ხალხის ინტერესების დამცველი, მიტომ რომ მილიცია ნიშნავს თავისუფალ მოქალაქეს. თავისუფალი მოქალაქის მხრის დამჭერი არის მშრომელი ხალხი და მონობის მომხრე-კი ბურჟუაზია, რომელსაც ქირივით სძულთ თავისუფლება და მასთან ერთათ თავისუფლების დარაჯი სახალხო მილიციაც. ბურჟუაზიას სურს მონობა და მისი დამცველიც, ე. ი. ხულიგანები, „გოროდოვები", ჯაშუშები და პროვოკატორები, ერთი სიტყვით, ყველა მუქთა მჭამელი, ყველა ხალხის მტერი და ორგული. კითხვა ნათელი უნდა იყოს ყველასათვის. მილიცია უნდა იცავდეს მშრომელ ხალხის ინტერესებს, თორემ ის თავის სახელწოდებას დაკარგავს და გახდება ძველი გარადავოი. ან მუშებთან, ან მის მტერთან, სხვა გზა არ არსებობს. მაშ გაუმარჯოს ხალხის, ე. ი. მუშების მიერ არჩეულ მილიციას!

გ. ლაფანაშვილი.

---

# მუშათა ცხოვრება.

18 იანვარს შესდგა ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა საერთო არაჩვეულებრივი კრება. გამოსარკვევი იყო, თუ რა ზომები იქნეს მიღებული იმის შესახებ, რომ სტამბის და ლიტოგრაფია-მკინძავების პატრონთა კავშირმა უარით უპასუხა მუშათა კავშირის მიერ გამომუშავებულ და წარდგენილ ტარიფზე. გაფიცვის აუცილებლობა თითქმის ყველასაგან ერთხმათ იქნა აღიარებული. კამათი გამოიწვია მხოლოთ იმან, გამოცხადდეს საერთო თუ კერძო გაფიცვები იმ წარმოებაში, რომლის პატრონი არ აწერს ხელს ტარიფს. გამოირკვა, რომ დიდი ნაწილი მსხვილ მწარმოებელთა კერძოთ კი გაზეთების გამომცემლები მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. მხოლოთ ზოგი წვრილი მესტამბე და საკინძავ-ლიტოგრაფიის პატრონები ჯიუტობენ. კრებამ დაადგინა, თუ ორშაბათამდის ტარიფი მიღებული არ იქნება, გამოცხადდეს გაფიცვა ყველა იმ წარმოებაში, რომლის პატრონიც არ მოაწერს ხელს ტარიფს. არჩეულ იქნა შვიდი კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო გაფიცვის ხელმძღვანელობა.

---

17 იანვარს თბილ. საქ. სადგურზე შესდგა ადგილობრივი მუშათა საზოგადო კრება, რომლის მიზანი იყო რაიმე საშუალების გამონახვა თავიანთ უმწეო და უნუგეშო მდგომარეობაზე, და მასთან სურდათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სიეზდის დადგენილებების გაგება, რომელზეც მუშებმა დღემდის არაფერი იციან. მაგრამ ადგილობრივმა ზოგიერთმა მენშევიკებმა ასტეხეს ერთი აურზაური და ყვირილი, რომლის მიზეზად ასახელებდენ რომ კრება უკანონო არის, რადგანაც მას არ ხელმძღვანელობს ადგილობრივი კომიტეტი (რომელიც მენშევიკ-ობორონცებისგან შესდგება), იმას კი არ გულისხმობენ ეს ვაჟბატონები, რომ კომიტეტმა უკვე განისვენა და იმას არ ფერის გაკეთება არ შეუძლია. შესაბრალისი იყო ს. კალანდაძე, რომელიც თავგამოდებით ყვიროდა და ბევრჯერ ნაცადი ოინებით ცდილობდა კრების დაშლას. ამბობდა ორატორი ჩვენზე, ესენი არიან მუშებო თქვენი მტერი, ესენი თქვენ დაგიუპავენ, კლდეზე გადაგყრიან, მაგათ არაფერი დაუჯეროთო. თუმცა ძლიერ ცდილობდა ხალხის მოამაგე კალანდაძე, მაგრამ ის მაინც მუშებმა შესაფერი პასუხით გაისტუმრეს ტრიბუნიდან. რის შემდეგ არჩეულ იქმნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მოლაპარაკება გამართოს ცენტრალურ კომიტეტთან რომ ცოტათი მაინც გაუმჯობესებულ იქმნას მუშათა პირობები როგორც ეკონომიურად ისე კვირა უქმე დღეების გაუქმების შესახებ, როდესაც კრება დაიშალა კრებაზედ გულმოსულმა კალანდაძემ ერთ ჩვენ ამხანაგზე მოინდომა ჯავრის ამოყრა და ერთი კომიტეტის წევრის თანხლებით თოფით ხელში ამხანაგს მუშტებით და შემდეგ სიკვდილითაც ემუქრებოდენ, სასაცილოა რომ სატირალი არ იყოს ასეთი საქციელი იმ მუშისა, რომელიც თავის თავს მოწინავედ სთვლის.

ვ ყა—ლი.

---

# მოწოდება.

ჩ ი ბ ა თ ი (გურია). ჩიბათის ბალშევიკების ორგანიზაცია შეეკითხა ადგილობრივ მენშევიკების კოლექტივს: 1) იციან თუ არა მათ, რომ ს. ჩიბათში სწარმოებს მიწის ყიდვა-გაყიდვა; 2) იციან თუ არა რომ ადგილობრივმა აღმასრულებელ კომიტეტმა თუ მოქმედებისათვის უნდობლობა დაიმსახურა; 3) იციან თუ არა მათ, რომ პარტიის ზოგიერთი წევრები არღვევენ წესიერებას? და რადგან აღნიშნულ კითხვებზედ ჩიბათის კოლექტივი პასუხს არ იძლევა, ერთ კითხვის გარდა, და იმასაც ცალმხრივათ, პარტიულმა კრებამ (ბალშ.) დაადგინა: იქნას ერთ ახლობელ სოფლის მიტინგზედ გატანილი ზემო აღნიშნული კითხვების უყურადღებოთ დატოვება და ამით ხალხის უმრავლესობის აზრით აგდება ადგილობრივ მენშევიკურ კოლექტივის მხრით, რაც მოწმობს, რომ მემამულეების სურვილებს ასრულებენ.

ყველა ამისათვის ჩვენი ს. დ. ბოლშევიკების ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა ღარიბ და დატანჯულთ, ყველა მაშვრალთ და ტვირთ მძიმეთ, ყველა ამ ომში დაღუპულ მშობლებს და სასოწარკვეთილთ, ყველა მშრომელ გლეხ-კაცობას: შემოკრბენ ჩვენი ს. დ. ბალშევიკების დროშის ქვეშ, რომელიც სდგას რუსეთის პროლეტარიატის გვერდით და იბრძვის მასთან ერთათ ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ, და მხარს უჭერს მუშათა, გლეხთა, სალდათთა საბჭოებს და პეტ. სახალხო კომისარების რევოლიუციონურ საბჭოს. აღნიშნული მთავრობა არის ნამდვილი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი, რომელიც შეუპოვრათ ებრძვის ბურჟუაზიას.

გაუმარჯოს რუსეთის სახალხო მთავრობას!

ორგანიზაციის მინდობილობით თავმჯდომარე ს. გოგიჩაიშვილი. მდივანი დ. ჯორბენაძე.

---

# პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

ხ ი დ ი ს თ ა ვ ი (გურია). როგორც წინეთ ვსწერდით, ოქტომბერში ს. ხიდისთავში დაარსდა ბალშევიკური ორგანიზაცია, შემდგარი 32 ორგანიზაციულათ შეკავშირებული პარტიის წევრებისაგან. თუ ოქტომბრამდე ვერ შევსძელით პარტიის დაარსება, ამის მიზეზი იყო ის რომ ხიდისთავის გლეხკაცობა მენშევიზმით იყო მოწამლული, და თუ ვინმე უთანაგრძნობდა ბალშევიკებს, იგინიც შიშობდენ თქმას; ბალშევიკი ვარო. და თუ ვინმე ამას გააცხადებდა, დასცინოდენ: ბალშევიკები კონტრრევოლიუციონერები არიან, ბალშევიკები მოღალატენი არიანო. მაგრამ დღეს ხიდისთავის გლეხ-კაცობა თან და თან ირკვევა და გრძნობს, თუ ვინ არის რევოლიუციის მოღალატენი. მენშევიკური პარტიის წევრები სტოვებენ თავიანთ პარტიას: დგამენ პოლიტიკურ ნაბიჯებს და ეწერებიან მათი ინტერესების გამომხატველ ბალშევიკების პარტიაში. ხიდისთავის რაიონის გლეხ-კაცობამ რომ გადადგა პოლიტიკური ნაბიჯი, ეს აშკარაა იქიდან, რომ თუ ოქტომბერში ჩვენ გვყავდა 32 წევრი, დღეს გვყავს 90. ვინ იცის, კიდევ რამდენი თანაგვეგრძნობს, მაგრამ „ნახარჯი" აქვთ მენშევიკებთან (როგორც დაცინვით იტყვიან ჩვენში ხოლმე).

და როცა ამ „ნახარჯს" გაასწორებენ, მაშინ დასტოვებენ მენშევიკების პარტიას. ეს იმას ნიშნავს, რომ ხიდისთავის გლეხკაცობა თან და თან ფხიზლდება, თან და თან ირკვევა, და მალე ვნახავთ, რომ გურიაშიაც გაკოტრდება მენშევიზმი ისე, როგორც გაკოტრდა იგი რუსეთში. ხიდისთავის რაიონის ბალშევიკების პარტია თან და თან ძლიერდება და უკვე დაიყო რამდენიმე იაჩეიკათ სადაც სისტემატიურათ სწარმოებს მეცადინეობა.

შაბათს, 30 დეკემბერს ხიდისთავის მახლობლათ ს. ახალშენში მოხდა ახალშენის მეუმრავლესეთა იაჩეიკის დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო 25 პარტიის წევრი თამჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. გიორგი ფოფხაძე, მდივნათ სამსონ პანიშვილი. კრების გახსნისას მოხსენება გააკეთა ცალკე იაჩეიკის დაარსების შესახებ ერ. ჩიგოგიძემ. კრებამ აირჩია პრეზიდიუმი სამი კაცისაგან შედგარი: 1) მუდმივ თამჯდომარეთ გ. ფოფხაძე. 2) მდივნათ ბიკ. ძელუა, 3) ხაზინადრათ პავლე მელუა. შემდეგ მოხსენება გააკეთა დღევანდელ მომენტზე ამხ. გ. ფოფხაძემ. ამხანაგის მოხსენებას კრება სიამოვნებით შეეგება. კრებამ დაადგინა აგრეთვე წრეში მეცადინეობის-მოწყობას, სადაც დაუშვებენ მენშევიკების პარტიის წევრებსაც.

ელ. ყ რაჩოლელი.

---

# განცხადებები.

საერთო საქალაქო კონფერენცია.

თბილისის ორგან. რ. ს.-დ. მ. პ. (ბალშევიკების) მოწვეულია კვირას 21 იანვარს საღამოს 5 საათზე საექიმო საზოგადოების შენობაში („პუშკინის ბიბლიოთეკის" სადგომშია).

დღის წესრიგი: 1. კომიტეტის მოხსენება; 2. მოხსენებები ადგილებიდან. 3. წესდების განხილვა; 4. კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 5. მიმდინარე საქმეები.

თბილ. კომ. რ. ს.-დ. მ. პ.

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

21 იანვარს შედგება მთელი გუბერნიის ბალშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია. დაწვრილებითი ცნობებისათვის ამხ. ვთხოვთ მიმართონ ფონტიკის ქუჩაზე „ლომბარში" კანდელაკს.